საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

050161988259112

KA050161988259112

№ 117/ო თბილისი 27 / ნოემბერი / 2012 წ.

თ ვ ი თ მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ა დ ა რ ე გ ი ო ნ უ ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ შ ი მ რ ჩ ე ვ ე ლ თ ა ს ა ბ ჭ ო ს შ ე ქ მ ნ ი ს შ ე ს ა ხ ებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2(წლის 30 იანვრის №10 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის , ქვეპუნქტის შესაბამისად, -

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში (შემდგ ტექსტში - სამინისტრო) შეიქმნას თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტი საკითხებში მრჩეველთა საბჭო(შემდგომ ტექსტში - საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

დავით ლოსაბერიძე	-	ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე, კომისიის წევრი;
კონსტანტინე კანდელაკი	-	სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე, კომისიის წევრი;
ირაკლი მელაშვილი	-	კოალიცია "არჩევნის თავისუფლებისთვის" პროექტების დირექტორი, კომისიის წევრი;
ირაკლი კობახიძე	-	UNDP, პროექტის დირექტორი, კომისიის წევრი;
ალექსანდრე სვანიშვილი	-	UNDP, ექსპერტი, კომისიის წევრი;
გიორგი ტოკლიკიშვილი	-	საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების

ცენტრი, კომისიის წევრი;

მიშა ჩიტაძე - გორის საინფორმაციო ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე, კომისიის წევრი;

ვაჟა სალამაძე - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის დირექტორი, კომისიის წევრი;

ელგუჯა ხოკრიშვილი - კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი, კომისიის წევრი;

არნო სტეპანიანი - მრავალეროვანი საქართველოს დირექტორი, კომისიის წევრი;

ზაურ ხალილოვი - სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდის დირექტორი, კომისიის წევრი;

ზვიად დევდარიანი - სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, კომისიის წევრი;

ასლან ჭანიძე - თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის დირექტორი, კომისიის წევრი;

გია ანდღულაძე - დემოკრატ მესხთა კავშირის დირექტორი, კომისიის წევრი;

გიორგი მესხიძე - კივიტას გეორგიკა დირექტორი, კომისიის წევრი;

პაატა ჩხეიძე - ქალაქების თვითმმართველობათა კავშირის ექსპერტი, კომისიის წევრი;

თინიკო ბოლქვაძე - ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო", კომისიის წევრი;

მარინა მუსხელიშვილი - საზოგადოებრივი კვლევის ცენტრი, კომისიის წევრი;

გიორგი კევლიშვილი - ევროპული არჩევანი საქართველოსთვის, კომისიის წევრი;

დავით ჭიჭინაძე - ეფექტიანი მმართველობითი სისტემებისა და რეგიონების ტექნოლოგიური განვითარების ცენტრის დირექტორი, კომისიის წევრი.

2. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოთ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), ევროკავშირის (EU), ევროპის საბჭოს (COE), შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) უფლებამოსილ წარმომადგენლებს, სხვა საერთაშორისო, არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებს.

3. ეთხოვოს საბჭოს შეიმუშავოს საბჭოს დებულება, განსაზღვროს და დებულებაში ასახოს საბჭოს ხელმძღვანელი.

4. მიეცეს საბჭოს რეკომენდაცია მჭიდროდ და სისტემურად ითანამშრომლოს სამინისტროსთან, საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტთან,

იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან, სამინისტროსა და აღნიშნული კომიტეტების ურთიერთკოორდინაციის რეჟიმში. ითანამშრომლოს ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებებთან და საქართველოს პარლამენტის სხვა კომიტეტებთან და ფრაქციებთან.

5. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტებს, საქმიანობის კოორდინაციისა და თანამშრომლობის მიზნით, წარუდგინონ საბჭოს საკონტაქტო პირების კანდიდატურები.

6. სამინისტროს სახელით საბჭოსთან კოორდინაცია და ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს მინისტრის პირველმა მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა.

მინისტრი

დავით ნარმანია